

**ზმნური მართვის უნარის მქონე
მიმღებობიანი შესიტყვება
გელათური ხელნაწერის (K14) მიხედვით¹
PARTICIPIAL SYNTAGMA
MIMICKING VERBAL SYNTAGMA
ACCORDING TO THE GELATIAN MANUSCRIPT (K14)²**

დავით იობიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

David Iobidze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

According to the monuments of the old Georgian language, infinitive and participial forms have the ability to create verb syntagms. Such constructions indicate an early stage of language development, specifically a period when deverbal units (participial forms) were linked to actants in the same way as the corresponding verb forms.

From the perspective of historical grammar, it is interesting to analyze the syntagma created by participial forms. Samples of the old Georgian language reveal that the participle creates a specific syntagma, namely, the one expected in the case of a verbal syntagma.

Based on the material from the 12th-century Gelatian manuscript (K14), the article discusses such linguistic facts in which participial forms compose the construction of the verb phrase, and the noun is arranged in the same case as expected with the corresponding verb. In such syntagms, a simple complement in the genitive case is not linked to the participial forms. Instead, an actant in the dative case is connected to them, thereby creating a verb syntagm.

საკვანძო სიტყვები: ქართული (გელათური) ხელნაწერები, ქართული სინტაქსი, ქართული ენის მორფოლოგია, მიმღებობიანი შესიტყვება.

Keywords: Georgian (Gelatian) manuscripts, Georgian syntax, morphology of the Georgian language, participle form syntagma.

¹ კვლევა № PHDF-21-5365 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

² This research № PHDF-21-5365 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ინფინიტივს აქტანტების შეწყობის უნარი გადმოეცოლილი აქვს მისი წინა ვითარების ფორმიდან (ზმნა-შემასმენლიდან). ინფინიტიური ფორმა ისევე იკავშირებს სახელებს, როგორც ამას აკეთებს სათანადო ზმნა-შემასმენელი (დავითიანი 1973: 349).

სახელთა შეწყობის თვალსაზრისით, ინფინიტივის მსგავს უნარს ავლენს მიმღეობური ფორმები. იგი სახელს შეიწყობს მიცემით ბრუნვაში, ისევე როგორც ზმნური ფორმა. ყოველივე ამას იწვევს ზმნის გარდაქცევა სახელზმნად და წინა ვითარების კონსტრუქციის შენარჩუნება (იქვე).

მიმღეობურ ფორმებში მაქსიმე აღმსარებლის „თალასესადმი კითხვა-მიგების“ გელათური თარგმანი (K14) იცავს ზმნური შესიტყვების კონსტრუქციას და სახელს იმავე ბრუნვაში შეიწყობს, როგორიც მოსალოდნელია სათანადო ზმნის შემთხვევაში. ხელნაწერისათვის დამახასიათებელია ისეთი ენობრივი ფაქტები, როდესაც მიმღეობური ფორმები ნათესაობითბრუნვიანი უბრალო დამატების ნაცვლად შეიწყობენ მიცემითბრუნვიან აქტანტს. გელათელი მთარგმნელი ააქტიურებს მიმღეობის უნარს, რომელიც მას წინა ვითარებიდან გადმოჰყვა. იგი მიმღეობებთან ხშირად იყენებს მიცემითბრუნვიან ფორმებს და ქმნის სახელთან ზმნური შეხამების მოდელს. მაგალითად:

მათ-შორისისა მჭეცებრივობისა შჯულებსა დამქსნელთა (K14, 20r).

ἐν αὐτοῖς μεριώδει ἀθεοσύνας νόμους (CCSG 7: 101, 18).

დამოწმებულ წინადადებაში შესიტყვების შჯულებსა დამქსნელთა საზღვრული წევრი დამქსნელთა თავის მსაზღვრელს მოითხოვდა ნათესაობით ბრუნვაში (შჯულებისა დამქსნელთა). თავის მხრივ, მსაზღვრელი წევრის შჯულებსა თანმხლები მსაზღვრელი ერთეული მჭეცებრივობისა ნათესაობით ბრუნვაშია და ასეთ ვითარებაში შჯულებისა დამქსნელთა ტიპის შესიტყვება მით უფრო მოსალოდნელი იყო. ჩვენ მიერ დამოწმებულ ნიმუშში საზღვრულად წარმოდგენილი მიმღეობა დამქსნელთა მიცემით ბრუნვაში შეიწყობს მართულ მსაზღვრელს შჯულებსა. ორიგინალ ტექსტში მსაზღვრელი ერთეული νόμους აკუზატივში დგას, რომელიც ობიექტის ბრუნვაა. მსგავსი ენობრივი მოვლენა ასეთ წინადადებაში:

და ამისთვის ცოდავს არ-ღა-სადა მიმღები ძალსა განმადლიერებელსა უძლურისასა (K14, 104r, სქ.15).

διὰ τοῦτο πλημμελεῖ, μήπω λαβὼν τὸν τὸ ἀσθενεῖς ἐνισχύουσιν δύναμιν (CCSG 22: 21 103-104, სქ.15).

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტექსტის მიცემითბრუნვიანი სახელის (ძალსა) ეკვივალენტი (δύναμιν) ბერძნულ ტექსტში აკუზატივ ბრუნვაში დგას, ასეთი შემთხვევები არ არის ორიგინალი ტექსტის გავლენით გამოწვეული, არამედ აქ საქმე გვაქვს მიმღეობის მიერ ზმნური კონსტრუქციის შექმნის უნართან, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინა ვითარების ზმნური ფორმიდან აქვს მას შენარჩუნებული. შემდგომ ეტაპზე მიმღეობა კარგავს ზმნურ უნარს და უახლოვდება სახელს. ამიტომაც არის, რომ შემდგომ ეტაპზე მიმღეობა იკავშირებს არა მიცემითბრუნვიან, არამედ ნათესაობითბრუნვიან უბრალო დამატებას. სხვა ნიმუშები:

ვითარ მქონებული იგიცა სიბრძნესა და გულისხუმისყოფასა, განზრახვასა და ძალსა და მეცნიერებასა და კეთილმსახურებასა და შიშსა (K14, 135v).

οἷα δὲ καὶ αὐτὸν ἔχοντα σοφίαν καὶ σύνεσιν, βουλήν τε καὶ ἰσχὺν, καὶ γνῶσιν καὶ εὐσέβειαν καὶ φόβον (CCSG 22: 169, 364-366);

ხოლო დაწყუჭდისა უსიტყუთა ცხოველთადას, და პკურებისა სისხლთადას მჰამებელად ღმერთსა (K14, 161r).

σφαγαῖς δὲ ζῴων ἀλόγων καὶ ῥαντισμοῖς αἱμάτων ἡδόμενον τὸν θεόν (CCSG 22: 287, 560-561);

ვითარცა პირისა საღმრთოდას გარშემწერელი შეზავებასა (K14, 58v).

καθάπερ πρὸς ὁσὸν θεῖον περιγράφουσα σύνθεσιν (CCSG 7: 309, 7-8).

ნაჩვენებ ნიმუშებში მიმღეობასთან დაკავშირებულია მიცემით-ბრუნვიანი პირდაპირი დამატება, ნაცვლად ნათესაობითბრუნვიანი უბრალო დამატებისა, რაც, ჩვენი აზრით, ძველი ენობრივი ვითარების გადმონაშთი უნდა იყოს. მსგავსი სინტაგმები დამახასიათებელია საკვლევი K14 ხელნაწერისთვის.

მთარგმნელს ბერძნული აკუზატივი ყოველთვის არ გადმოაქვს მიცემითბრუნვიანი ფორმით. იგი ზოგჯერ იცავს გაბატონებულ სახელთან დაკავშირების ქართული წინადადებისათვის ნორმალურ მოდელისმიერ წესს და, შესაბამისად, სახელი გადმოაქვს ნათესაობითბრუნვიანი ფორმით:

მოგზაურობს გონებად წარმმართველი სათნოებისად (K14, 12r).

ὁδῆσει νοῦν τὴν ἀρετὴν διέπων (CCSG 7: 57, 37-38);

მეცნიერებით აღმყვანებული გონებისად (K14, 11v).

τὸν νοῦν γωστικῶς ἀναψιβάζων (CCSG 7: 55, 21-22);

მტვრთველი წყლისად, მომასწავებელი თავისა მიერ თვსისა ყოველთა საქმითისაებრ ფილოსოფოსობისა (K14, 11v).

βαστάζων τοῦ νόμοτος, σημαίνων δι' ἑαυτοῦ πάντα τοὺς κατὰ τὴν πρακτικὴν φιλοσοφίαν (CCSG 7: 55, 26-27);

შეერთებისათვს მიზეზისა მიმღებელი სქესისად (K14, 1r).

τῇ περὶ τὴν αἰτίαν ἐνόησε σχέσιν λαβὼν (CCSG 7: 9, 11).

ზოგჯერ გვაქვს შერეული ვერსია, როდესაც ერთ წინადადებაში ბერძნული აკუზატივები გადმოცემულია მიცემითბრუნვიანი და ნათესაობითბრუნვიანი ფორმებით:

რომლისაგან შემწყნარებელმან გამოცხადებასა დაფარულთა საიდუმლოთასა... მრავალთაგან წმიდისა წერილი[3r]სა უღონოებითთა თავთა აღმავსებელმან ქარტისამან წარმოეც (K14, 2v).

παρ' οὗ δεξάμενος τὴν τῶν κεκρυμμένων μυστηρίων φανέρωσιν... πολλῶν τῆς ἀγίας γραφῆς ἀπορυσμένων κεφαλαίων χάριτι πληρώσας ἀπέστειλας (CCSG 7: 19, 23-26);

გრძნობისა ვიდრემე მახარებელი, ხოლო გონებისა გარდამაქცეველი... კეთილისასა უკუშ მქონებული მეცნიერებასა (K14, 8v).

τὴν μὲν αἰσθησιν τέρπουσαν, τὸν δὲ νοῦν διαστρέφουσιν... τοῦ καλοῦ μὴν ἔχουσα γνῶσιν (CCSG 7: 37, 333-335).

განხილული ნიმუშები მიუთითებს, რომ მთარგმნელი მიმღეობურ ფორმას უნარჩუნებს ზმნური შეხამების უნარს, რომელიც

მას წინავითარებიდან გადმოჰყვა. ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს ასეთ მაგალითში:

თვთ იგი არს სიტყუაჲ, ვითარცა ამგებელი ბუნებისაჲ... მიმნიჭებელი ნათელსა მეცნიერებისასა (K14, 164r).

αὐτὸς καθ'ἑστὸν ὁ λόγος, ὡς κτίστος τῆς φύσεως ... φῶς δ' αὖτις μὲν οὐκ ἔστιν (CCSG 22: 301, 778-781).

მთარგმნელს პირველ წყვილში ბერძნული გენეტივი გადმოტანილი აქვს სახელური შეხამების ნორმალური მოდელისმიერი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ხოლო მეორე სინტაგმაში მიმღეობას უკავშირებს მიცემითბრუნვიან ფორმას, რომლის ბერძნული ეკვივალენტი ასევე გენეტივის ბრუნვაში დგას.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მთარგმნელის გრამატიკულ ცნობიერებაში მიმღეობას გააქტიურებული აქვს სახელური შეხამების უნარიც. ამიტომაც არის, რომ მთარგმნელი მიმღეობურ ფორმებთან ერთდროულად იყენებს როგორც ზმნური, ისე სახელური შეხამების მოდელს. სინქრონიულ დონეზე კი სახელური შეხამების ნორმალური მოდელისმიერი ფორმა ნათესაობითბრუნვიანი ფუძეა – მიმღეობას ყოველთვის უკავშირდება ნათესაობითბრუნვიანი სახელი.

დამოწმებული ლიტერატურა

დავითიანი 1973: დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი. თბილისი, 1973.

K14 ხელნაწერი: წმინდა მაქსიმე აღმსარებლის შრომები, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდის №14 ხელნაწერი.

Laga... 1980: Laga C., Steel C., Maximi Confessoris, Quaestiones ad Thalassium. Brepols: Leuven university press, 1980.

Laga... 1990: Laga C., Steel C., Maximi Confessoris, Quaestiones ad Thalassium. Brepols: Leuven university press, 1990.